



დავების პრაქტიკა საქართველოში სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიმართულებით

შესავალი

24 აპრილსა და 28 მაისს, PwC საქართველომ ბიზნესისა და კლიენტებისათვის ჩაატარა ღია სემინარები, რომელიც შეეხებოდა სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით საგადასახადო დავების უახლეს პრაქტიკას.

სემინარებზე განხილულ იქნა უკანასკნელ პერიოდში შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმებები სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიმართულებით. დავების ფაქტობრივი გარემოებების ზოგად მიმოხილვასთან ერთად, დაწვრილებით გაანალიზდა თუ რა ასპექტები ხდებოდა შემოსავლების სამსახურის მიერ ძირითადად სადავო და რა იყო კომპანიების მიერ წარდგენილი საპასუხო არგუმენტები.

სემინარებზე ასევე განხილულ იქნა უახლესი მიდგომები და ის ტენდენციები, რომელსაც შემოსავლების სამსახური ძირითადად მისდევს სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული შემოწმებების პროცესში. სატრანსფერო ფასწარმოქმნის თემის განსაკუთრებული აქტუალობის და საკითხის მიმართ, როგორც შემოსავლების სამსახურის, ისე საქართველოში მოქმედი კომპანიების მზარდი ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენ გადავწყვიტეთ ამ სტატიაში მოკლედ შევაჯამოთ ზემოაღნიშნულ სემინარებზე განხილული ძირითადი საკითხები.


დავების პრაქტიკა საქართველოში სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიმართულებით

მას შემდეგ რაც საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების წესები შევიდა ძალაში, შემოსავლების სამსახური ამ კუთხით ყოველწლიურად მზარდი სიხშირით ატარებს შემოწმებებს.

კომპანიის სატრანსფერო ფასწარმოქმნის პოზიციის შემოწმება შეიძლება მოხდეს როგორც ზოგად საგადასახადო შემოწმების ფარგლებში, ისე თემატური აუდიტის მეშვეობით, რაც უშუალოდ კომპანიების შიდა ჯგუფურ ტრანზაქციებს შეეხება. აღნიშნული შესაძლებლობა შემოსავლების სამსახურის კონტროლირებული ოპერაციების შეფასების გუნდს საშუალებას აძლევს შედარებით ეფექტურად გადაანაწილოს ადმინისტრაციული რესურსები. ბოლოდროინდელი საგადასახადო დავების პრაქტიკის მიხედვით ჩანს, რომ საგადასახადო ორგანო აქტიურად იყენებს შემოწმების ორივე გზას.

შემოსავლების სამსახურის 2018 წლის ოფიციალური ანგარიშის მიხედვით, უშუალოდ სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიმართულებით შემოწმებული და დარიცხული თანხის ოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ამ მიმართულებით შემოწმებული და დარიცხული თანხის ოდენობა 2018 წელს დაახლოებით 135 მილიონი ლარი იყო, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი 2016 და 2017 წლებისთვის დაახლოებით 3-4 მილიონ ლარს შეადგენდა.

დარიცხული თანხების ასეთი მკვეთრი მატების მიხედვით, რამდენიმე ტენდენცია შეინიშნება:




გვერდი 2

1. შემოსავლების სამსახური უფრო დიდ აქცენტს აკეთებს მაღალი ღირებულების შიდა ჯგუფურ გარიგებებზე. იმის მიუხედავად, რომ ზოგადად ქართული კანონმდებლობა არ აწესებს მატერიალურობის ზღვარს, მაღალი ღირებულების შიდა ჯგუფური გარიგებებით განსაკუთრებული დაინტერესება ლოგიკურია და ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო ორგანოების მიერ.
2. ზოგადად, საგრძნობლად იზრდება საგადასახადო ორგანოს ინტერესი კონტროლირებული ოპერაციების მიმართ, რაზეც ამ მიმართულებით შემოსავლების სამსახურის აუდიტორთა გუნდის რიცხვობრივი ზრდაც მიანიშნებს. აღნიშნული ეხმიანება მიმდინარე საერთაშორისო პრაქტიკას, სადაც იკვეთება საგადასახადო ორგანოთა უპრეცედენტო ინტერესი შიდა ჯგუფური გარიგებების მიმართ. ეს ინტერესი მიმართულია მულტინაციონალურ კომპანიებში შესაძლო არაკეთილსინდისიერი და უკანონო ქმედებების აღკვეთისაკენ.

შიდა ჯგუფური გარიგებების ტიპები, რომლებიც ძირითადად ხდება შემოსავლების სამსახურის შემოწმების ობიექტი, მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: საქონლის ყიდვა-გაყიდვა, საწარმოო საქმიანობები, სხვადასხვა შიდა ჯგუფური მომსახურებების მიწოდება - მიღება (მაგ: მმართველობითი მომსახურებები, იურიდიული მომსახურებები, ადამიანური რესურსების მომსახურებები, ფინანსური და ანგარიშგების მომსახურებები, საინფორმაციო ტექნოლოგიური მომსახურებები და ა.შ.), ჯგუფის ბრენდის ან სასაქონლო ნიშნის გამოყენება, შიდა ჯგუფური სესხები და ა.შ. დეტალური ინფორმაცია ზემოთჩამოთვლილი გარიგების თითოეულ ტიპზე იხილეთ PwC საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის ბიულეტენის [მეორე გამოცემაში](#) (თებერვალი, 2019).

შემოსავლების სამსახურის მიერ გასაჯაროებული გადაწყვეტილებების ანალიზისას, უმრავლეს შემთხვევაში ერთი საერთო მახასიათებელი გამოიკვეთა: საწყის ეტაპზე კომპანიებს არ ჰქონდათ მომზადებული სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაცია და შესაბამისად ვერ წარადგინეს იგი შემოსავლების სამსახურს მოთხოვნისას. ქართული კანონმდებლობით, კომპანიამ ოპერაციების შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია შემოსავლების სამსახურს უნდა მიაწოდოს ოფიციალური მოთხოვნის მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო დოკუმენტაციის მომზადება 30 დღეში უმეტეს შემთხვევაში ძალიან რთული, და ხშირად შეუძლებელიც კია.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, რაც გადაწყვეტილებებიდანაც ნათლად ჩანს, იმ შემთხვევაში როდესაც კომპანია ვერ წარადგენს სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაციას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან, შემდეგ უკვე მტკიცების ტვირთი გადადის კომპანიაზე. შიდა ჯგუფური გარიგებების შემოწმებისას, აუდიტორთა პირველადი გადაწყვეტილება ხშირად ეფუძნება იმ ფაქტობრივ ინფორმაციას რომელიც მათთვის შემოწმების ეტაპზეა ხელმისაწვდომი. სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაციის ვერ წარდგენის შემთხვევაში კი ასეთი ინფორმაცია მწირია და არ იძლევა კომპანიის შიდა ჯგუფური გარიგებების შესახებ სრული სურათის დანახვის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, არასრული ინფორმაციის პირობებში შემოსავლების სამსახური ხშირად კონსერვატიულ მიდგომას ირჩევს და შიდა ჯგუფურ გარიგებას სადავოს ხდის მთლიანი ოდენობით. აღნიშნული გულისხმობს რომ კომპანიას შესაძლოა არ მიეცეს მიღებული შიდა ჯგუფური მომსახურებისთვის გაწეული ხარჯების გამოკვეთის უფლება. ესტონური საგადასახადო მოდელის პირობებში კი ეს ნიშნავს, რომ კომპანიის მიერ გაწეული აღნიშნული ხარჯები უცხოური ურთიერთდამოკიდებული პირისგან მიღებულ მომსახურებებზე შესაძლოა ჩაითვალოს არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებად. შედეგად, აღნიშნული ხარჯები მაღალი ალბათობით დაბეგრის ობიექტი იქნება.




გვერდი 3

შემოსავლების სამსახურის მხრიდან ასეთი ხისტი პოზიციები ხშირად საჩივრდება კომპანიების მიერ. უმეტეს შემთხვევებში, კომპანიას საშუალება ეძლევა მოამზადოს ალტერნატიული სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაცია და წარადგინოს საპირისპირო არგუმენტები. თუმცა, სრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადება დავების ეტაპზე შეზღუდულ ვადებთანაა დაკავშირებული. ამას გარდა, შემოსავლების სამსახურის უკვე ჩამოყალიბებული პოზიციის შეცვლა შედარებით რთულია და უფრო მეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ბოლოდროინდელი პრაქტიკის მიხედვით, კომპანიები ხანგრძლივ მიმდინარე დავებში არიან შემოსავლების სამსახურთან, პროცესი შესაძლოა სასამართლომდეც კი მივიდეს. აღსანიშნავია, რომ დავების უმეტესი ნაწილის გადაწყვეტას დაახლოებით 2-3 წელი, ხანდახან კი უფრო მეტიც შეიძლება დასჭირდეს.

აქედან გამომდინარე, კომპანიების ინტერესებში შედის საწყის ეტაპზე გონივრული მიდგომის არჩევა და სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაციის წინასწარ მომზადება საგადასახადო ორგანოს მხრიდან შეტყობინების მიღებამდე. ზემოთხსენებული დავებისა და მათთან დაკავშირებული ბიზნეს რისკების თავიდან არიდება კონტროლირებულ ოპერაციებზე ფასების დადგენის საფუძვლიანი შიდა-პოლიტიკის დამკვიდრებითაა შესაძლებელი, რომელიც გამყარებული იქნება სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაციით.

მართალია, სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაციის მომზადება პირდაპირ გარანტიას არ ნიშნავს, რომ შემოსავლების სამსახური რაიმე საკითხს ეჭვქვეშ არ დააყენებს, თუმცა იგი საგრძნობლად ამცირებს ამის რისკს. როდესაც ყველა შიდა ჯგუფური გარიგება სათანადოდაა დოკუმენტირებული და ახსნილი სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპების შესაბამისად, შემდგომ უკვე მტკიცების ტვირთი საგადასახადო ორგანოზეა, რომელმაც უნდა დაამტკიცოს კომპანიის არგუმენტირებული პოზიციის მცდარობა. პრაქტიკაში აღნიშნული მტკიცების უფრო მაღალ სტანდარტებთანაა დაკავშირებული და შესაბამისად უფრო რთულია.



როგორ შეგვიძლია დაგეხმაროთ?

საინფორმაციო ბიულეტენის გამოშვებასთან ერთად, PwC საქართველო მომავალშიც გააგრძელებს ღია სემინარების ჩატარებას საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიმართულებით ზოგადი ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამ ღონისძიებებზე კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით მათთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაცია და შეაფასონ თუ რამდენად ექცევა მათი შიდა ჯგუფური გარიგებები საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის რეგულაციების არეალში.

PwC საქართველოს გუნდი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიმართულებით. ის შედგება ადგილობრივი დირექტორისა და ორი მენეჯერისგან და გააჩნია საქმიანობის ფართო გამოცდილება როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ჩვენი გუნდი საქართველოში არსებულ მულტინაციონალურ კომპანიებს სთავაზობს სატრანსფერო ფასწარმოქმნის სრულ საკონსულტაციო მომსახურებას. ჩვენ დაგეხმარებით სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებულ პოტენციური რისკების იდენტიფიცირებაში, მოვამზადებთ სატრანსფერო ფასწარმოქმნის სათანადო დოკუმენტაციას ნებისმიერი ტიპის შიდა ჯგუფური გარიგებისთვის და ასევე დაგეხმარებით პოზიციის დაცვაში სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებულ საგადასახადო დავებში.

დაინტერესების შემთხვევაში, PwC საქართველოს გუნდი მზადაა გიპასუხოთ შეკითხვებზე:

სერგი კობახიძე

დირექტორი

საგადასახადო მომსახურება

ტელ.: (+995 32) 250 80 50

Email: sergi.kobakhidze@pwc.com

ბენ პიტერსენი

მენეჯერი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

Email: ben.pietersen@pwc.com

ანასტასია ყიფიანი

მენეჯერი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

Email: anastasia.kipiani@pwc.com

© 2019 PwC საქართველო. ყველა უფლება დაცულია. "PwC" ნიშნავს შპს ფრაისუოტერჰაუსკუპერს საქართველოს როგორც წევრ ფირმას, და ზოგ შემთხვევაში PwC-ის ქსელს, რომელშიც შემავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure

[Legal Disclaimer](#) | [Privacy Statement](#)

შპს ფრაისუოტერჰაუსკუპერს საქართველოს, ბიზნეს ცენტრი მეფე დავითი, მე-7 სართული, მ. ალექსიძის ქ. 12, თბილისი 0171, საქართველო